საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2015 წელი

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული კონკურსის

კომისიის თავმჯდომარე:

1. მაია ქალიაშვილი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

კომისიის წევრები:

2. ნუგზარ გასვიანი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
3. ირაკლი ლითანიშვილი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
4. ირაკლი ხერგიანი-საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ.შ.
5. გივი ამბრიაშვილი - საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი
6. დემურ ჯაგაშვილი - საავტომობილო გზების ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი
7. ფიქრია კვერნაძე - საავტომობილო გზების იურიდიული სამმართველოს უფროსი
8. დავით კალაძე - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მ.შ.
9. ავთანდილ გვაზავა - საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი
10. ვახტანგ რაზმაძე - საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
11. შალვა ჯულაყიძე - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მ.შ. (სატენდერო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი)
12. თეიმურაზ კაპანაძე - ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი
13. მარიამ გოგიშვილი - საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი
14. ლევან როსტომაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე

კომისიის აპარატის წევრი:

1. სოფიო ღვინჯილია - საავტომობილო გზების სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

<u>დღის წესრიგი:</u>

საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციაში და არსებულ ტექნიკურ დავალებაში ცვლილებების შეტანა.

<u>მოისმინეს:</u>

საკონკურსო კომისიის წევრმა დ. კალაძემ, საკონკურსო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ „საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ

ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე" გამოცხადებულ **CNT150000054** კონკურსში არსებულ ტექნიკურ დავალებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

გარდა ამისა, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. ქალიაშვილმა, კომისიას მიაწოდა ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაციაში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სატენდერო პირობების დახვეწას და შესყიდვების პროცესში ჯანსაღ კონკურენციას. კერძოდ, ცვლილებების შედეგად გამარტივდებდა ზოგიერთი მიმართულებით პრეტენდენტების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ფორმა და მოთხოვნები.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციაში და ტექნიკურ დავალებაში შესატანი ცვლილებები და დაეთანხმა მის დაზუსტებას.

დაადგინეს:

1. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების მე-2 მუხლის, ნ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება, „საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევასა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის" CNT150000054 ელექტრონული კონკურსის დოკუმენტაციაში და ტექნიკურ დავალებაში, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაციის განთავსება სააგენტოს ვებ გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე:

მაია ქალიაშვილი

კომისიის წევრები:

ნუგზარ გასვიანი

დავით კალაძე

ირაკლი ლითანიშვილი

ავთანდილ გვაზავა

გივი ამბრიაშვილი

ირაკლი ხერგიანი

დემურ ჯაგაშვილი

ვახტანგ რაზმაძე

ფიქრია კვერნაძე

თეიმურაზ კაპანაძე

შალვა ჯულაყიძე

მარიამ გოგიშვილი

ლევან როსტომაშვილი

აპარატის წევრი:

სოფიო ღვინჯილია